ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების

წლიური ანგარიშის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	**წლიური გეგმა(დამტკიცებული)**	**დაზუსტებული**	**საკასო შესრულება**
შემოსავლები	11 482,8	11 195,5	**11 195,5**
გადასახადები	2 063,0	**2 317,2**	**2 317,2**
გრანტები	6 141,2	**5 946,4**	**5 976,4**
სხვა შემოსავლები	3 278,6	**2 901,9**	**2 901,9**
ხარჯები	8 366,1	**7 875,9**	**7 629,4**
შრომის ანაზღაურება	2 065,2	**1 973,0**	**1 966,4**
საქონელი და მომსახურება	936,7	**763,5**	**738,0**

პროცენტი	76,0	**76,6**	**76,6**
სუბსიდიები	3 803,4	3 780,5	3 778.5
გრანტები			
სოციალური უზრუნველყოფა	426,8	467,3	461,5
სხვა ხარჯები	1058,0	815,0	608,4
საოპერაციო სალდო	3 116,7	3 319,6	3 566,1
არაფინანსური აქტივების	5 858,7	6 259,6	5 328,1
ზრდა	5 888,7	6 386,8	5 455,3
კლება	30,0	127,2	127,2
მთლიანი სალდო	-2742,0	-2940,0	-1 762,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 749,8	**-2940,0**	**-1 762,0**
ზრდა	0	**190,1**	**987,9**
ვალუტა და		**190,1**	**987,9**
კლება	2 749,8	**2 749,9**	**2 749,9**
ვალუტა და	2 749,8	**2 749,9**	**2749,9**
ვალდებულებების	7,8	**0**	**0**
ზრდა			**-**
საგარეო			**-**
საშინაო			**-**
კლება	7,8	**0**	**0**
საგარეო			**-**
საშინაო	7,8	**0**	**0**
ბალანსი	0	**0,0**	**0**

2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

შეადგენდა 2 749,9 ათას ლარს, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 987,9 ათასი ლარი

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა (დამტკიცებული)	წლიური დაზუსტებული	საკასო შესრულება	შესრულება%-ში
შემოსულობები	**11 512,8**	11 322,7	**11 322,7**	**98,3 %**
შემოსავლები	**11 482,8**	11 195,5	**11 195,5**	**97,5%**
არაფინანსური აქტივების კლება	**30,0**	127,2	**127,2**	**423,6 %**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**	**-**
გადასახდელები	**14 262,6**	14 262,7	**13 084,7**	**91,7%**
ხარჯები	**8 366,1**	7 875,9	**7 629,4**	**91,2%**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**5 888,7**	6 386,8	**5 455,3**	**92,6 %**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**	**-**
ვალდებულებების კლება	**7,8**			
ნაშთის ცვლილება	**-2 749.8**	-2940,0	**-1 762,0**	

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 512,8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 11 322,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98,3 %.

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 11 482,8 ლარი ფაქტიურად 11 195,5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 97,5% შეადგინა

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 2 317,2 ათასი ლარი, გეგმის 2 063,0 ათასი ლარის 112,3 %-ს შეადგენს.

თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 023.2 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 1 723,0 ათასი ლარის 117,4%- შეადგენს. ხოლო

საშემოსავლო გადასახადი 294,0 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 340,0 ათასი ლარის 86,5 %-ს შედგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5 976,4 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6 141,2 ათასი ლარი(97,3%) მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი _ 2 077,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 183,0 ათასი ლარი, სპეციალური 299,7 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 3 418,9 ათასი ლარი, აგრეთვე ბიუჯეტს გამოაკლდა წინა წელს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 2,6 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 3 278,6 ათასი ლარი, შემოსულია 2 901,9 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 88,5%-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან: მ / შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 46,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 15 ათასი ლარი,(310,7%.)

დივიდენდები-1,0 ათასი ლარი

რენტის სახით მობილიზებულია 2 677,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 3 136,1 ათასი ლარი 85,4%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 2 674,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,6 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 57,5 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 85,7 ათასი ლარი.(149,0 %) მ/ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 61,7ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 53,3 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 8,4 ათასი ლარი.

ხოლო მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 24,0 ათასი ლარი.

<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 79,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (50.0 ათასი ლარი) _ 158,4%-ს შეადგენს.

<u>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 12,3 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 11,9 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 0,4 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 127,2 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 13,0 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 114,2 ათასი ლარი, მ/ შორის: შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 1,5 ათასი ლარი,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14 262,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 084,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,7 %-ია

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 366,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 629,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,2 %-ია. არაფინანსური

აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5 888,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 455,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,6%-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 065,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 966,4 ათასი ლარი; მ/შორის თანამდებობრივი სარგო 1 959,2 ათასი , ხოლო პრემია 7,2 ათასი ლარი; რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,2 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 585,6 ათასი ლარი

ხელფასები 585,6 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 585,6 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 585,6 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 1 288,8 ათასი ლარი

ხელფასები 1 288,8 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1 288,8 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1 288,8 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 92,0 ათასი ლარი

ხელფასები 92,0 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 92,0 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 84,8 ათასი ლარი

პრემია: 7,2 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 936,7 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 738,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,8 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 160,7 ათასი ლარი;

- ✓ მივლინებები - 20,2 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 5,7 ათასი ლარი; გამგეობა 13,3 ათასი ლარი, თავდაცვას 1,2 ათასი ლარი.

- ✓ ოფისის ხარჯები - 150,9 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 18,4 ათასი ლარი, გამგეობას 122,7 ათასი ლარი, თავდაცვას 4,6 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 5,2 ათასი ლარი.

- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 25,3 ათასი ლარი;

1. კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, სამეურნეო კოოპერატივებისა ადგილობრივ ფერმერების შეხვედრასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

2. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყეთსარგებლობისა და ტყეთმოწყობის საპილოტე გეგმის პრეზენტაციასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

3 . კომპოზიტორ ვაჯა აზარაშვილის კონცერტთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

4 . ანსამბლ "ერისიონის" კონცერტთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

5. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის მიერ გამართულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

6. ანსამბლ "ქართული ხმების" მიერ გამართულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

7. კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ ტრადიციულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

8. პიანისტ ელისო ბოლქვაძის მიერ გამართულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება

- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-

შენახვის ხარჯები - 248,7 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 74,1 ათასი ლარი; გამგეობას 127,6 ათასი ლარი, თავდაცვა--8,8 ათასი ლარი,საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 6,5 ათასი ლარი. განათლების სისტემის ხელშეწყობა 27,1 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 4,6 ათასი ლარი.

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 132,2 ათასი.

,,პროცენტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 76,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 76,6 ათასი ლარი შეადგინა.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა

3 803,4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 778,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,3 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 726,8 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1 153,9 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება - 8,3 ათასი ლარი;
- განათლების ხელშეწყობა - 25,8 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა -553,8 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 1 139,9 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 5,3 ათასი ლარი;
- რელიგია--10,0

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 78,5 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 76,2 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 467.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 461.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 1,8 ათასი ლარი;

- დაკრძალვის ხარჯები - 0,4 ათასი ლარი;

- ლტოლვილთა დახმარება - 6,9 ათასი ლარი;

- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 20,7 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 303,6 ათასი ლარი

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 116,8ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 5,1 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 6,2 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა

1 058,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 608,4 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 57,5 %ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი

მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---74,1 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--
1,1 ათასი ლარი

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1,4 ათასი ლარი.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - 374,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 6,5 ათასი ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 147,6 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 3,0 ათასი ლარი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 618,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 700,5 ათასი ლარი) 96,9 % შეადგენს.

◙ თავდაცვის სფეროში დაგეგმილ იქნა 120,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 115,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96,1%.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6 993,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5 856,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83,7 %,

საბინაო - კომუნალური მეურნეობა, დაგეგმილ იქნა 734,7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 733,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 79,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,9 %,

◙ <u>კულტურა, ახალგაზრდული,სპორტული, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად</u>

<u>განსაზღვრული იყო 1 768,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 768,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,9 %.</u>

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1 238,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1 235,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,7 %, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებამ გეგმით შეადგინა 1 160,0 ათასი ლარი გაიხარჯა 1 159,4 ათასი ლარი.(99.5%)

✓ ზოგადი განათლების სფეროს ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 53.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (55.0 ათასი ლარი) 96,4 %-ს შეადგენს.

✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,5 ათასი ლარი) 97,6 %-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 685,9 (სარეზერვო ფონდის ჩათვლით) ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 677,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,8 %, მათ შორის:

საქონელი და მომსახურება : 0,8 ათასი ლარი

თანადაფინანსება: 76,2 ათასი ლარი;(სუბსიდია)

სოციალური უზრუნველყოფა 450,2 ათასი ლარი:

სხვა ხარჯი 150,6 ათასი ლარი;

2017 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2 641,5	2 618,3
702	თავდაცვა	120,0	115,3
704	ეკონომიკური საქმიანობა,	6 993,7	5 856,8
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	734,7	733,3
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	80,0	79,9
708	-დასვენება და კულტურა,	1 768,4	1 768,1
709	განათლება	1 238,5	1 235,2
710	სოციალური დაცვა	685,8	677,8
	სულ ჯამი	**14 262,6**	**13 084,7**

სარეზერვო ფონდი

2018 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 59,0 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 56,4 ათასი ლარი(95,6 %)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 2 097,3 ათასი ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 733,3 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1 274,1 ათასი ლარით;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 2 484,8 ათასი ლარით;

- სოფლის მეურნეობის მხარდამჭერა და განვითარება - 0,5 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 1 159,4 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების დაფინანსება - 53,0 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 8,3 ათასი ლარი;

  საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა---14,5 ათასი ლარი
- სპორტული ობიექტების დაფინანსება - 554,0 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 1 165,2 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა – 4,8 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა – 39,0 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა – 10,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 79,9 ათასი ლარით;
- დაკრძალვის ხარჯები - 0,4 ათასი ლარით;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 149,4 ათასი ლარით;
- ლტოლვილთა დახმარება - 6,9 ათასი ლარით;

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 21,5 ათასი ლარით;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 382,8 ათასი ლარით;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 116,8 ათასი ლარით;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. განათლება;
3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
5. თავდაცვა უსაფრთხოება;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

1. **თავდაცვა და უსაფრთხოება** დაფინანსებულია 115,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 120,0 ათასი ლარის 96,1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული იყო 120,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 115,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96,1 პროცენტი.

2. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** დაფინანსებულია 6 590,6 ათასი ლარით რაც გეგმის (7 729,0 ათასი ლარი) 85,3 პროცენტია;

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 2 097,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 458,7 ათასი ლარი) 85,3%-ს შეადგენს.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება. განხორციელდა დაბაში საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწესრიგება.სოფელ ჩხაკაურას საავტომობილო გზაზე მოეწყო ცემენტო ბეტონის საფარი. სოფელ ქვემო ერკეთიდან მოედანას მიმართულებით სოფელ ბუკისციხის ცენტრამდე საავტომობილო გზაზე მოეწყო ა/ბეტონის საფარი. სოფ. ჯვარცხმა ვაზიანის მიმართულებით განხორციელდა ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები. სოფელ გორაბერეჟოულში, განხორციელდა სოფლის სასაფლაოსთან მიმავალი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 9 აპრილის I ჩიხში და დაბის სასაფლაოს მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბულიტაციის, 9 აპრილისა და დუმბაძის ქუჩის შეერთებაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები და 26 ბინიანი სახლის ეზოში ა/ბეტონის საფარი მოეწყო. ბურნათი-წიფნარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ბერეჟოულის შესახვევიდან სოფელ გორას მიმართულებით დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. სოფ. კოხნარი-ნაკადულის შიგა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სოფ. საჭამიასერის ცენტრიდან კალაგონის მიმართულებით შიგა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში, გოგებაშვილის ქუჩის I ჩიხში საავტომობილო გზა კეთილმოწყობა, გოგიბერიძის ქუჩის გაგრძელებაზე მ. ახობაძის უბანში მოხდა საავტომობილო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და ნიკო მარის ქუჩაზე საავტომობილო გზის კეთილმოწყობა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში , სოფლების გორაბერეჟოული -ჯვარცხმის გზის სავალი ნაწილის აღდგენის სამუშაოები ჩატარდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიუტეტის ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვანში შიდა გზაზე ა/ბეტონის საფარი მოეწყო.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 733.3 ათასი ლარით, რამაც გეგმის (734,7 ათასი ლარი) 99.8 პროცენტი შეადგინა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მოხდა სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1 274,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 774,2 ათასი ლარი) 71,8%.

პროგრამის ფარგლებში მოხდა სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნა მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდა: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო საგზაო ნიშნები მოძრაობის წესების რეგულირებისათვის. დაბაში, გოგიბერიძის ქუჩაზე მოეწყო სპორტული მოედანი, მოხდა 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია, განხორციელდა ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წერეთლის ქუჩაზე მოეწყო ავტოსადგომი, დაბის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მოხდა შესაბისი პროექტის შედგენა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კოსტავას ქუჩაზე განხორციელდა სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობის მეორე ეტაპი. დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა გზის და პარკის რეაბილიტაცია. მოეწყო მერიის მიმდებარე ტერიტორია და გოგებაშვილის ქუჩაზე მინი საკალათბურთო სტადიონი. მოეწყო სამრევლო სკოლის და N1 საბავშვო ბაღის წინა ტერიტორიები. განხორციელდა ანა კალანდაძის სახელობის პარკის სამშენებლო სამუშაოები. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ რეაბილიტირებულ შენობაზე განხორციელდა საფასადე საათების შეძენა-მონტაჟი. დასრულდა დაბა ჩოხატაურში, გოგიბერიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მოეწყო სასიგნალო ბოძკინტები. მოხდა დაბა ჩოხატაურში, ჭავჭავაძის აღმართის კეთილმოწყობა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია. სოფელ ფარცხმაში სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო წყალმომარაგების გაუმჯობესება. 9 აპრილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია და აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის რებილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

2.4 სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2018 წლის განმავლობაში 2 484,8 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 2 758,3 ათასი ლარის 90,1 %.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.5 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება. ამ მიზნით გამოიყო სულ 0,5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის განვითარება, მ.შ. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. დადგინდა საკარანტინო მავნებლების გავრცელების არეალი და პერიოდები. ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. დაინტერესებული ფერმერებმ მოინახულეს საქართველოში არსებულ თანამედროვე ტექნოლიგიებით აღჭურვილი მეურნეობები. მოეწყო აგროტურები. დაინტერესებული პირები გაგზავნილი იქნენ გადამზადების კურსებზე. მოხდა მათი თანადაფინასება. მოწვეულმა სპეციალისტებმა ჩაატარეს ლექცია სემინარები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

3. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 1 235,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 238,5 ათასი ლარი) (99,7 %)მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 1 159,4 ათასი ლარი.

საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო შეიქმნა, უზრუნველყოფილი იქნა მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა.

მუნიციპალიტეტში ამ დროისათვის ფუნქციონირებდა 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებდა 470 - ამდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

3.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის ფარგლებში გამოყოფილი იყო 53,0 ათასი ლარი. მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილებასა და სხვა ღონისძიებების

მოწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

3.3 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება განხორციელდა 8,3 ათასი ლარით (მოხდა რეორგანიზაცია).

3.4 . საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა. ამ კუთხით დაფინანსებამ შეადგინა 14,6 ათასი ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვასასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება დაზუსტებული გეგმით შედგენდა 2 192,4 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 2 190,3 ათასი ლარი(გეგმის 99,9 %)

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 946,3 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველეყოთ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდა ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო-2009".

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა 1 195,1 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ფარგლებში გაწეული იქნა 38,9 ათასი ლარის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას, მუსიკოსის ელისო ბოლქვაძის ფესტივალის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, გაიმართა ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება, ასევე განხორციელდა ტურიზმის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებები. ჩატარდა ღონისძიება ევროკავშირის პროექტის ,,მონაწილეობითი CARRETE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა;

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 765,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (657,7 ათასი ლარი) 99,6%-ია.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დელეგირებული ფუნქციების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 79,9 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.2 **სოციალური პროგრამები** დაფინანსდა 677,8 ათასი ლარით.

პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. მოხდა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებმაც მთლიანობაში უზრუნველყვეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5.2.1. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 01) (2,0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 8 ვეტერანები ერთჯერადი ფულადი დახმარებით 350 ოდენობით.

5.2.2 მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამით გათვალიწინებული დახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდეა 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა 110.0 ლარის ოდენობით.

5.2.3 ლტოლვილთა დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამით დახმარება მიეცა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შეძენაზე 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 250 ლარისა (10,0 ათასი ლარი).

5.2.4 საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

5.2.5 სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები (12,0 ათასი ლარი);

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001 დან 150 000 - მდეა სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული, ეპილეფსიითა და ცერემბრლური დამბლით დაავადებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება;

საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსება;

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

,,C' ჰეპატიტით დაავადებული პირების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (ბენეფიციარზე არაუმეტეს 200 ლარი).

0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ლოგოპედური სამედიცინო მომსახურება.

5.2.6 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა პატრონაჟისა და მონიტორინგისათვის ფინანსური დახმარება თანადაფინანსების სახით.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის დახმარება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება.